

Bio Brief

ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ საქართველოს კანონის პროექტი

ავტორები: ანა რუხაძე, ალბინა მუზაფაროვა, გიორგი ლებანიძე



„ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც მომზადდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ქმნის სამართლებრივ საფუძველს ბუნების დაცვისა და მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებისათვის და აახლოებს საქართველოს კანონმდებლობას ბუნების დაცვის ევროპულ პოლიტიკასთან. საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის ბუნების და-

ცვის დირექტივებთან, როგორცაა ევროკავშირის დირექტივა 92/43/EEC ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფლორისა და ფაუნის შენარჩუნების შესახებ და ევროკავშირის დირექტივა 2009/147/EC ფრინველთა კონსერვაციის შესახებ, არის ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულება.

დღეისათვის, საქართველოში ბუნების დაცვა რეგულირდება კანონმდებლობით, რომელიც ძირითადად მიღებული იქნა 90-იან წლებში, მათ შორის საქართველოს კანონებით „გარემოს დაცვის შესახებ“ (1996 წ.), „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ (1996 წ.), „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ (1996 წ.), „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ (2003 წ.). თუმცა, ამ კანონებსა და მათ საფუძველზე მიღებულ კანონქვემდებარე აქტებში არსებული ხარვეზები და კოლიზიები ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობასთან, მნიშვნელოვნად ართულებს მათ აღსრულებასა და კონტროლს.





ახალი კანონის პროექტზე მუშაობა 2013 წელს დაიწყო, ბუნების დაცვის სფეროს რეფორმირებისა და ევროკავშირის მოთხოვნებთან ჰარმონიზების მიზნით. ამ უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო დოკუმენტის შემუშავებაში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახმარება გაუწია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამამ „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში“ (IBiS).

„ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის კონკრეტული მიზნებია უზრუნველყოს:

- ველური მცენარეებისა და გარეული ცხოველების სახეობების დაცვა და ხანგრძლივადიანი შენარჩუნება;
- ჰაბიტატების დაცვა და შენარჩუნება „ზურმუხტის ქსელის“ განვითარებისა და საერთაშორისო ქსელებში ჩართული დაცული ტერიტორიების შექმნის გზით;
- ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირება ისე, რომ ვაჭრობამ საფრთხე არ შეუქმნას აღნიშნულ სახეობებს;
- გენეტიკურ რესურსებზე და მასთან დაკავშირებულ ტრადიციულ ცოდნაზე ხელმისაწვდომობა და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილება.

ბიომრავალფეროვნების კარგვა და კლიმატის ცვლილება დღევანდელი მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი გამოწვევებია. ყოველდღიურად სულ უფრო მეტ სახეობასა და ჰაბიტატს ემუქრება გაქრობის საფრთხე მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც. ეკოსისტემების შენარჩუნება და აღდგენა მნიშვნელოვანია ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის უსაფრთხო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი კეთილდღეობისთვის და მდგრადი განვითარებისთვის ამიტომაც, ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნება მნიშვნელოვანია გაეროს მიერ მიღებული „მდგრადი განვითარების მიზნების“ (SDG) უმეტესობის მისაღწევადაც, თუმცაღა მე-14 და მე-15 მიზნები უშუალოდ დაკავშირებულია




ბიომრავალფეროვნების კარგის შეჩერებასთან და წყლისა და ხმელეთის ეკოსისტემების დაცვასთან.

„ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კანონის მიღება მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიისა და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებების განხორციელებისათვის, ასევე, ბუნების დაცვის ასპექტების ინტეგრირებისათვის განვითარების პროცესში. საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეროვნულ დონეზე, არამედ გლობალურადაც, რამდენადაც

ქვეყანა წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისთვის პრიორიტეტულ ადგილს¹; ამასთანავე, არსებული საფრთხეების გამო, საქართველო შედის ბიომრავალფეროვნების ცხელ წერტილებშიც².

საქართველოს ბიოლოგიური მრავალფეროვნებას აქვს ფასდაუდებელი ღირებულება, მისი ეკოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ესთეტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით. ახალი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ ახლა, 2020 წლის მიჯნაზე, როცა საერთაშორისო საზოგადოება, ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის ფარგლებში განიხილავს მიღწევებს და წარუმატებლობებს და აწარმოებს მოლაპარაკებებს 2020 წლის შემდგომ პერიოდში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების განახლებულ გლობალურ ჩარჩოზე.



სახეობების დაცვა

გადაშენების პირას მყოფი სახეობების დაცვა ბუნების კონსერვაციის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა. საქართველოში მცენარეთა და ცხოველთა სახეობების მრავალფეროვნებას მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მათი უშუალო მოპოვება, ასევე, საბინადრო ადგილების განადგურება და ინვაზიური სახეობების გავრცელება. ბიომრავალფეროვნების შესახებ კანონპროექტი მოიცავს მნიშვნელოვან დებულებებს სახეობებისა და მათი ჰაბიტატების დაცვის თაობაზე, ხელყოფის დაუშვებლობასა და ზიანის კომპენსაციაზე.

კანონის თანახმად, საქართველოს წითელი ნუსხა, ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების წითელი ნუსხის ანალოგიურად, აღწერს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული მცენარეებისა და



¹ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ გლობალურად განსაზღვრულია 35 პრიორიტეტული ადგილი ბუნების კონსერვაციისათვის, მათ შორის „შავი ზღვის დიდი აუზი“, რომელსაც მიეკუთვნება საქართველოს ტერიტორია, <http://wwf.panda.org>

² Conservation International-ის მიერ, გლობალურად იდენტიფიცირებულია 36 ცხელი წერტილი – ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილები ბუნების დაცვისათვის, მათ შორის კავკასია და ირან-ანატოლია, რომელთა ნაწილიც არის საქართველო, <https://www.conservation.org/>



ცხოველების სახეობების საკონსერვაციო სტატუსს. სპეციალური დაცვის სტატუსი – მკაცრად დაცული ან დაცული სახეობა – მიენიჭება ცხოველთა და მცენარეთა მოწყვლად ან გადაშენების პირას მყოფ სახეობებს, სახეობის პოპულაციის მდგომარეობის გათვალისწინებით ეროვნულ, რეგიონულ ან გლობალურ დონეზე. სახელმწიფო ვალდებულია აწარმოოს მკაცრად დაცული და დაცული სახეობების მონიტორინგი, ასევე შეიმუშაოს და განახორციელოს მათი კონსერვაციის გეგმები.

კანონპროექტის შესაბამისად, იკრძალება გარეული ფრინველების და სხვა გარეული ცხოველების მკაცრად დაცული და დაცული სახეობების მოკვლა, დატყვევება, ბუდეების, ბუნაგების, სოროების, კვერცხის/ქვირითის განადგურება, შეგროვება, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზების, დასარწყვლებელი ადგილების განადგურება. ასევე იკრძალება მცენარეთა მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ინდივიდების მოჭრა, ამოთხრა, დაზიანება, მათი ნაწილების შეგროვება, მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ინდივიდების ფლობა, ტრანსპორტირება, ყიდვა-გაყიდვა, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.


მოწყვლადი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების სამართლებრივი დაცვა უზრუნველყოფილი იქნება მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ნუსხაში მათი შეტანით. აღნიშნული ნუსხა დამტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ.

კანონპროექტი ადგენს მინის მესაკუთრეთა ვალდებულებას ითმინოს სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის ღონისძიებებით გამონწვეული შეზღუდვები.


კანონპროექტი ასევე ადგენს, იმ ველურ მცენარეებითა და გარეული ცხოველებით სარგებლობის ჩარჩოს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან დაცულ ან მკაცრად დაცულ სახეობებს. შესაძლებელია, მათი გარემოდან ამოღება ისეთი მინიმალური მოცულობით, რაც აუცილებელია პირადი სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. კანონმდებლობით უნდა იქნეს დადგენილი იმ (არა დაცული) სახეობების ნუსხა, რომლებზეც ნადირობა ან რომელთა თევზჭერაც არის დაშვებული.

კანონპროექტის თანახმად, საქართველოში იკრძალება უცხო ინვაზიური სახეობების ინტროდუქცია, მცენარეთა ინვაზიური სახეობების გაშენება ტყეში ან დაცულ ტერიტორიაზე, გარეული ცხოველების საბინადრო გარემოში თვითნებური დაბრუნება (რეინტროდუქცია).

ველური ფაუნისა და ფლორის სახეობების ინდივიდების ჭარბი მოპოვების



ერთ-ერთი მიზეზი არის მათზე მოთხოვნა საერთაშორისო ბაზარზე. საქართველო, როგორც „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) მხარე, ვალდებულია დაარეგულიროს და გააკონტროლოს არა მხოლოდ საქართველოში



გავრცელებული, გადაშენების პირას მყოფი სახეობების ექსპორტი, არამედ, სხვა ქვეყნებში მოპოვებული ინდივიდების (ასევე მათი ნაწილებისა და დერივატების) იმპორტი, რე-ექსპორტი, მათ შორის ტყვეობაში გამრავლებული/ხელოვნურად მოშენებული ინდივიდების. კანონპროექტი მოიცავს შესაბამის დებულებებს კონვენციით დაცული სახეობების მოპოვებისა და საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების, კონტროლისა და მონიტორინგისთვის.

ჰაბიტატების დაცვა

ფლორისა და ფაუნის სახეობების მრავალფეროვნების შენარჩუნება შეუძლებელია, თუ არ დავიცავთ მათ საბინადრო გარემოს – ჰაბიტატებს, რომელთა მზარდი მოდიფიცირება და განადგურება ბიომრავალფეროვნების კარგვის უმთავრესი გამომწვევი მიზეზია.

კანონპროექტი ქმნის სამართლებრივ საფუძველს საქართველოში „ზურმუხტის ქსელის“ განვითარებისთვის. „ზურმუხტის ქსელი“ სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიების ეკოლოგიური ქსელია, რომლის მიზანია უზრუნველყოს სახეობების გრძელვადიანი გადარჩენა მათი საბინადრო გარემოს ანუ ჰაბიტატების დაცვისა და შენარჩუნების გზით. „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის“ (ბერნის კონვენცია) შესაბამისად, კანონპროექტი ადგენს ზურმუხტის ტერიტორიების შერჩევის კრიტერიუმებს, ევროპის ქსელში ჩართვისათვის წარდგენის პროცედურებს, ეროვნულ დონეზე მართვისა და მონიტორინგის ვალდებულებებს. ზურმუხტის ტერიტორიები შესაძლოა იყოს სახელმწიფო, მუნიციპალურ ან კერძო საკუთრებაში. ეროვნულ დონეზე მათი მართვის კოორდინაციას და კონტროლს განახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ნებისმიერი საქმიანობა, რომელმაც შესაძლოა ინდივიდუალურად ან სხვა გეგმებთან და პროექტებთან კომბინაციაში მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს ზურმუხტის ტერიტორიის ფარგლებში დაცულ სახეობებსა და ჰაბიტატებზე, კანონპროექტის თანახმად საჭიროებს შესაბამის შეფასებას. პროექტის განხორციელება, რომელსაც, შეფასების შედეგად, ექნება მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა ზურმუხტის ტერიტორიაზე, შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაღალი საჯარო ინტე-





რესის არსებობის შემთხვევაში, როცა არ არსებობს სხვა ალტერნატიული გადაწყვეტილება. ამასთან, სავალდებულო იქნება საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელება.

საერთაშორისო მნიშვნელობის დაცული ტერიტორიები

საქართველოში არსებობს უნივერსალური ფასეულობების მქონე ეკოსისტემები, რომელთა მახასიათებლებიც შეესაბამება საერთაშორისო კონვენციების მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს ისეთი ადგილებისათვის, რომელთა გამოვლენა და დაცვა მნიშვნელოვანია გლობალურ დონეზე.

კანონპროექტი „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ ხაზს უსვამს ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის მნიშვნელობას, იუნესკოს მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად. ახლახან, კოლხეთის ტყეები

და ჭარბტენიანი ეკოსისტემები, რომლებიც წარმოდგენილია მტირალას, კოლხეთის, კინტრიშისა და ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე, წარდგენილი იქნა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების სიაში შესატანად. კოლხეთის ტორფიანი ჭაობები და კოლხური ტყეები, ამასთანავე, შეტანილია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების სიაში ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ კონვენციის (რამსარის კონვენცია) შესაბამისად.

კანონპროექტი აწესრიგებს საქართველოში საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიებისა და მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების შექმნის საკითხს, განსაზღვრავს რა მათი გამოვლენის, საერთაშორისო ქსელებში ჩართვის, მართვის, დაცვისა და მონიტორინგის დეტალურ პროცედურებს.

კანონპროექტით ასევე განსაზღვრულია ბიოსფერული რეგიონის შექმნისა და მართვის სამართლებრივი საფუძველი. ბიოსფერული რეგიონი ბუნების



კონსერვაციისა და მდგრადი მიწათსარგებლობის ერთიანი პრაქტიკის დანერგვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ბიოსფერული რეგიონების გლობალური ქსელი ვითარდება 1971 წლიდან, იუნესკოს პროგრამა „ადამიანი და ბიოსფეროს“ (MAB) ფარგლებში. საქართველოში განხორციელებული კვლევების საფუძველზე, დედოფლისწყარო და ახმეტა, რომელთაც აერთიანებს ტრადიციული მომთაბარე მეცხოველეობა, მიჩნეულია ბიოსფერული რეგიონის ჩამოყალიბებისათვის პრიორიტეტულ ადგილად.

გენეტიკური რესურსები



ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის ერთერთი მიზანია გენეტიკური რესურსების გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფა, მათზე სათანადო ხელმისაწვდომობით და შესაბამისი ტექნოლოგიების გადაცემით. გენეტიკური რესურსი არის მცენარეული, ცხოველური, მიკრობული ან სხვა წარმოშობის ნებისმიერი მასალა, რომელიც შეიცავს მემკვიდრეობითობის ფუნქციურ ერთეულებს და რომელთაც აქვთ ფაქტობრივი ან პოტენციური ღირებულება.

გენეტიკური რესურსები გამოიყენება სხვადასხვა მიზნებისთვის – ფუნდამენტალური კვლევებიდან პროდუქტების წარმოებაამდე, როგორცაა ფარმაცევტული ან კოსმეტიკური საშუალებები და ახალი სასოფლო-სამეურნეო ჯიშები. გენეტიკური რესურსებით მოსარგებლეები არიან კვლევითი ინსტიტუტები, უნივერსიტეტები და კერძო კომპანიები ბიოტექნოლოგიების სფეროში. გენეტიკური რესურსების გამოყენებით მიღებული სარგებელი სხვადასხვა ფორმით შეიძლება განაწილდეს, მათ შორის გენეტიკური რესურსების საფუძველზე მიღებული შედეგების ერთობლივი გამოყენებით, გენეტიკური რესურსებით სარგებლობის ტექნოლოგიების გადაცემის გზით, ერთობლივი ბიოტექნოლოგიური კვლევების განხორციელებით.

კონვენციის თანახმად, გენეტიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის უფლება, ასევე, მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილების მოთხოვნები, განსაზღვრულ უნდა იქნეს ეროვნული კანონმდებლობებით.

კანონპროექტი ადგენს საქართველოში გენეტიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის პირობებს, ასევე მოთხოვნებს მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის განაწილებასთან დაკავშირებით. გენეტიკური რესურსები ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ შესაბამისი ნებართვის საფუძველზე, დამატებით მოითხოვება ხელშეკრულება გენეტიკური რესურსის გამოყენებით მიღებული სარგებლის საქართველოსთვის განაწილების ფორმისა და მოცულობის შესახებ. თავის მხრივ, სხვა ქვეყნებში წარმოშობილი გენეტიკური რესურსების გამოყენება საქართველოში საჭიროებს შესაბამისი ქვეყნის ნებართვას გენეტიკური რესურსის ხელმისაწვდომობაზე, ასევე წინასწარ შეტყობინებას. კანონპროექტის თანახმად, გენეტიკური რესურსების და მასთან



დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის ხელმისაწვდომობით მიღებული სარგებელი სამართლიანად უნდა განაწილდეს ადგილობრივი თემის წევრებზე და ტრადიციული ცოდნის მატარებელ პირებზე.



ზიანის ანაზღაურება

„ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კანონპროექტის ერთერთი მიზანია სახეობების და ჰაბიტატების მნიშვნელოვანი დაზიანების პრევენცია და აღმოფხვრა.

საქმიანობა, რომელიც მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას ახდენს მკაცრად დაცული და დაცული სახეობების პოპულაციებსა და ჰაბიტატებზე, ეკოსისტემურ სერვისებსა და ფუნქციებზე ან იწვევს უარყოფით შეუქცევად ცვლილებებს, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ინტერესთა შეპირისპირების საფუძველზე, საჯარო ინტერესების დაცვის განსაკუთრებული უპირატესი მიზანი ამას ამართლებს და არ არსებობს ამ საქმიანობის სხვა ტერიტორიაზე, ან ნაკლები ხელყოფით განხორციელების ალტერნატიული შესაძლებლობა. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია განახორციელოს გამასწორებელი ღონისძიებები, რომლებიც მოიცავს დაზიანებული ბუნებრივი რესურსის თავდაპირველ მდგომარეობაში აღდგენას ან, თუ ეს შეუძლებელია, ექვივალენტური მდგომარეობის აღდგენას ალტერნატიულ ტერიტორიაზე. ბუნებისთვის მიყენებული ზიანის ფულადი კომპენსაცია დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ბუნებრივი გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა.

www.biodivers-southcaucasus.org
www.giz.de